



Co-funded by
the European Union

„კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში“ (ETHICS)

ერასმუს+CBHE პროგრამის ფარგლებში ევროპული კომისიის დაფინანსებით განხორციელებული ეროვნული სტრუქტურული რეფორმის პროექტის „კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში“ (ETHICS) მიზანია უნივერსიტეტებისა და კვლევითი ორგანიზაციების სამეცნიერო საქმიანობის გაუმჯობესება მაღალკვალიფიციური კვლევებისა და უახლესი აკადემიური მიდგომების დანერგვით.

კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა

კვლევის კეთილსინდისიერება გულისხმობს კვლევის ყველა ეტაპის – იდეის ფორმულირებიდან გამოქვეყნებამდე – გამჭვირვალედ, სანდოდ და პატიოსნად შესრულებას. ის მეცნიერების არსებითი კომპონენტია და ხელს უწყობს საზოგადოების ნდობისა და დადებითი ზეგავლენის გაძლიერებას. კვლევითი ეთიკა კი, მეორე მხრივ, განიმარტება, როგორც კვლევის მიმდინარეობისას ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესი, რა დროსაც ვითვალისწინებთ კვლევაში მონაწილე პირებისა და ფართო საზოგადოების ინტერესებს (The European Network for Academic Integrity, 2018)

კვლევის ეთიკისა და კეთილსინდისიერების მთავარი ღირებულებები

საერთაშორისო დოკუმენტებში გამოკვეთილია ეთიკისა და კეთილსინდისიერების ძირითადი ღირებულებები, რომლებიც არსით მსგავსია. ევროპული ქცევის კოდექსის (ALLEA, 2023) თანახმად, კარგი კვლევითი პრაქტიკა ეფუძნება ოთხ ძირითად პრინციპს: სანდოობას, პატიოსნებას, პატივისცემასა და ანგარიშვალდებულებას. ანალოგიურად, სინგაპურის დეკლარაცია ადგენს პატიოსნების, ანგარიშვალდებულების, პროფესიული თავაზიანობის, სამართლიანობისა და კარგი მმართველობის პრინციპებს. მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო დისციპლინები მეთოდოლოგიების თვალსაზრისით განსხვავდება ერთმანეთისაგან, საერთო ეთიკური პრინციპები მნიშვნელოვანად უწყობს ხელს პასუხისმგებლიან ქცევას ნებისმიერ კვლევით კონტექსტში (Singapore Statement, 2010). საერთაშორისო დეკლარაციებში არსებული თანხვედრა ხაზს უსვამს გლობალურ თანხმობას ეთიკურ პრინციპებსა და კვლევით პასუხისმგებლობაზე.

ეთიკური ღირებულებებისადმი ერთგულება უზრუნველყოფს გამჭვირვალობას კვლევის ყველა ეტაპზე – კონცეფციის შემუშავებიდან საბოლოო პუბლიკაციამდე, რაც ქმნის ანგარიშვალდებულებას მთელი კვლევითი პროცესის მიმართ (ALLEA, 2023)

კვლევის კეთილსინდისიერების მნიშვნელობა

კვლევის კეთილსინდისიერების დაცვა მნიშვნელოვანია მრავალი მიზეზის გამო, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ მას სამომავლოდ შეუძლია საზოგადოებას ნდობა დაუკარგოს მეცნიერების მიმართ, რაც ყველაზე არასასურველი შედეგია გრძელვადიან პერსპექტივაში. ევროპული ქცევის კოდექსის თანახმად, კვლევის ეთიკის პრინციპების დარღვევა: „აზიანებს კვლევით პროცესს, ართულებს მკვლევარებს შორის ურთიერთობას, ეჭვქვეშ აყენებს კვლევის სანდოობასა და ავტორიტეტს, განაპირობებს რესურსების არამიზნობრივ ხარჯვას, რითაც შესაძლოა კვლევის მონაწილეებსა და სუბიექტებს, მომხმარებლებს, საზოგადოებას ან გარემოს გაუმართლებელი ზიანი მიაღგეს“ (ALLEA, 2023, გვ. 10). კვლევის კეთილსინდისიერება ასევე იცავს კვლევაში მონაწილე პირებს. ჰელსინკის დეკლარაციის თანახმად, მართალია, სამედიცინო კვლევები, რომლებშიც ადამიანები მონაწილეობენ, ემსახურება დაავადებათა უკეთ შესწავლას, პრევენციისა და მკურნალობის გზების სრულყოფას და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის განმტკიცებას, მაგრამ ამ მიზნებმა ვერ უნდა გადაწონოს კვლევის მონაწილეთა უფლებები და ინტერესები (WMA, 2024, გვ. 2).

პასუხისმგებლობა კვლევის კეთილსინდისიერებაზე არ ეკისრება ცალკეულ მკვლევარს, არამედ ის თანაბრად ვრცელდება სამეცნიერო დაწესებულებაზე, დამფინანსებელზე, გამომცემელსა და მთლიანად სამეცნიერო საზოგადოებაზე. ეთიკური დარღვევების მართვის მკაფიო პროცედურები, მამხილებელთა დაცვა და ობიექტური მოკვლევა კვლევის კეთილსინდისიერებისადმი ინსტიტუციური ერთგულების აუცილებელი ელემენტებია. სწორედ ამიტომ, საერთაშორისო პროექტი ემსახურება საქართველოში კვლევის ეთიკის ინსტიტუციური კულტურის გაძლიერებას. პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანია კვლევის მმართველობის საბჭოს/კვლევის ეთიკის კომიტეტის (REC) ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს კვლევის ეთიკის ინსტიტუციური პოლიტიკის დანერგვას.

გამოყენებული ლიტერატურა

- ALLEA (All European Academies). (2023). The European Code of Conduct for Research Integrity (Revised edition 2023). ALLEA. <https://allea.org/code-of-conduct/>
- European Network for Academic Integrity. (2018). Glossary for academic integrity. <https://www.academicintegrity.eu/wp/glossary/>
- Singapore Statement on Research Integrity. (2010, September). Singapore statement on research integrity. 2nd World Conference on Research Integrity. <https://wcrif.org/guidance/singapore-statement>
- World Medical Association. (2024). Declaration of Helsinki – Ethical principles for medical research involving human participants. <https://www.wma.net/policies-post/wma-declaration-of-helsinki-ethical-principles-for-medical-research-involving-human-subjects/>

“Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union or The European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor the granting authority can be held responsible for them.”